# საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

## ბრძანება №01-83/ნ
2014 წლის 4 დეკემბერი

ქ. თბილისი

## „სარეზიდენტო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 4 თებერვლის №01-6/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

„სარეზიდენტო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 4 თებერვლის №01-6/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge; 06/02/2014; 470230000.22.035.016238) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ბრძანების პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 48-ე პუნქტი:

„48. ,,ბავშვთა გადაუდებელი მედიცინა“ (დანართი 48).“.

2. ბრძანებას დაემატოს დანართი 48 (ბავშვთა გადაუდებელი მედიცინა) თანდართული რედაქციით.

**მუხლი 2**

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრი — დავით სერგეენკო